№ 188 1877

# ივერია

№ 188 1903

სექტემბერი 4, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 4, ხუთშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

სამშაბათს, 9 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ნატალია ალექსანდრეს ასულის ხოფერიას

სულის მოსახსენებლად სიონ. შხეფს, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, რასაც მამა მისი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ხოფერია აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა. (2—2)

დიდის ხნისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 3 სეკდემბერს გარდაიცვალა ქვრივი სტატსკის სოვეტნიკისა

ანასტასია აბრაკუმის ასული სარაჯიშვილისა,

რასაც შვილნი განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. პანაშვიდი იქმნება დღეს დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს გაასვენებენ პარასკევს, 5 სეკდებერს, დილის 10 საათზედ, თავის სადგომიდგან, ავჭალის ქუჩა № 85, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ და იმავე სასაფლაოზედ მიწას მიაბარებენ. (1—197—1)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ გასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე,

## მცხეთა-ტფილისის

ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ თვის ათს, საღამოს ექვს საათზედ, ალექსი დავითიშვილის სახლში (Тамаринская ул. № 9) დანიშნულია საზოგადო კრება მოსასმენად კომისიის მოხსენებისა მცხეთაში ადგილების შეძენის შესახებ. (3—148—1)

## სპილენძის მადანი

სურს იყიდოს საფრანგეთის კომპანიამ. ვისაც გასაყიდი აქვს, მიჰმართოს ამ ადრესით: Paris, rue Meslay 41, M. J. Champol. (5—6—3)

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

## რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

**გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი**, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—9)

## კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მალალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**ბრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

**ა. გ. მალალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**ბ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არჩვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. (წლ.)

## ტფილისი

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ზავადსკიმ 1 სეკდემბერს დეპეშით მოახსენა მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოოზ მიხეილის ძეს, რომ სწავლის დაწყების დღეს ქალაქის სასწავლებლებში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც მასწავლებელნი და მოსწავლენი ევედრებოდნენ ღმერთს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მიანიჭოს მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს. პასუხად, როგორც „კავკაზი“ იუწყება, მზრუნველმა შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ჩემ დას, ძმებსა და მეც დიდად გვასიამოვნა კავკასიის ოლქის მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანაგრძნობამ, რომელსაც თქვენ გვიმტკიცებთ. ძვირფასი ავადმყოფი სულ ერთსა და იმავე მდგომარეობაშია“. ნიკოლოოზ მიხეილის ძე.

გაზეთ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ ყარსიდგან: გუშინ, ორ სეკდემბერს, ყარსში, დილის 10½ საათზედ სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო მამულების მისაღებად დანიშნულნი მოხელენი შეუდგნენ სურფ-ნიშანისა და ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის ეკლესიების მამულების მიღებას. ეკლესიის ზარი დაჰკრეს და სწრაფად შეგროვდა მრავალი ხალხი, რომელიც სურფ-ნიშანს გარს შემოერტყა და მახლობელ სახლების ეზოებსა და ბანებზედ შეჯგუფდა. პოლიციამ რომ უბრძანა დაიშალენითო, ხალხმა ქვა და ტყვია დააყარა და უკუაქცია. მალე ეკლესიასთან გაჩნდა სავარაუდო დარაჯი ოლქის უფროსითურთ და ორასი ჯარის-კაცი ეისკის ყაზახთა პოლკისა, რომელსაც პოლკოვნიკი კვიცინსკი მეთაურობდა. ხალხი თანდათან მრავლდებოდა და ქვა-ტყვიას აყრიდა. რადგან ხალხმა ბრძანება არ შეისმინა და არ დაიშალა, დარაჯი იძულებული იყო თითო-ოროლა თოფი დაეცალა, რის შემდეგ დარაჯებმა და ყაზახებმა მოედნიდგან და სახლებიდგან ხალხი გარეკეს. ამ დროს მოედანთან გაჩნდა როტა მეციხოვნეთა პოლკისა. დარაჯთაგან ერთი მოკლულია და რავდენიმე დაშავებული. ხალხში ერთი მოკვდა და ორიც დაიჭრა. წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიასთანაც მამულების მიმღებ მოხელეებს სომეხთა ჯგუფი დაუხვდა, ხოლო ჯარმა უიარაღოდ გაჰფანტა. დაპატიმრებულ იქმნა 77 კაცი, მათ შორის ორი ტერტერა. მამულების მიმღებმა მოხელეებმა მამულები ასწერეს და ისე ჩაიბარეს.

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციას კრება ექმნება 6 სეკდემბერს, საღამოს 5 საათზედ, სახალხო საკითხავის აუდიტორიაში. კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ, როგორც სცენის მოყვარულნი, აგრეთვე ყველანი, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქართულ წარმოდგენებში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა იჯარით აძლევს მდ. მტკვარზე მუხრანისა და რიყის ქუჩებ შუა გამართულ ბორნის შემოსავალს. ვაჭრობა 12 სეკდემბერს იქმნება.

დღეს ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე კარაპეტ ჯალალოვისა, რომელიც ქამოიანთ წმ. გიორგის ეკკლესიის მნათედ ყოფილა და საეკკლესიო ფულის გაფლანგვა ედება ბრალად.

დღეს ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან უნდა გაირჩეს საქმე რკინის გზის მოხელის ოსეტროვისა, რომელსაც მისი უფროსი კაზიავკინი აბრალებს, მოქრთამეობა დამწამაო.

ტფილისის საბებიო ინსტიტუტში მშობიარეთ ამ ჟამად აღარ იღებენ, რადგანაც მთელი განყოფილება სულ სავსეა.

ტფილისის საბალოსნო სკოლაში უფროსის კლასის შეგირდები სწავლას ამთავრებენ ამ სეკდემბრის განმავლობაში და 50 ვაკანსია განთავისუფლდება. თხოვნებს ეხლავე იღებენ, ხოლო ეგზამენები სეკდემბრის ბოლოს იქმნება.

ტფილისის პირველი საკვირაო სკოლა გადავიდა გიმნაზიის ქუჩაზე ვერის ხიდის ახლო. სწავლა კვირაობით იქმნება. მიიღებენ ვაჟსაცა და ქალსაც, ვინც 15 წლისა ანუ მეტისაა. სწავლა დაიწყება 7 სეკდემბერს.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოს რევიზია მოუხდენია ტფილისის სადგურის სასაქონლო კასსისა და ფულის გაფლანგვა აღმოუჩენია.

ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში წელს გამოცდაზე გამოცხადდა სულ 106 კაცი. მიიღეს მხოლოდ 29 კაცი, რომელთა შორის 4 ქართველია, დანარჩენი სულ რუსები არიან.

ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში 55 თავისუფალი ადგილი იყო სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთათვის. მიიღეს წელს მხოლოდ 40 კაცი.

ტფილისის მეათე საპოლიციო უბნის ბოქაულად, ტერ-გრიქუროვის ნაცვლად, რომელიც ამ ჟამად დაპატიმრებულია, ჰნიშნავენ ფშავ-ხევსურეთის ბოქაულს ი. ოზიაშვილს.

თ-დ ა. სუმბათაშვილის ახალ პიესას „ღალატი“ ეწოდება. შინაარსი ქართველთა წარსულ ცხოვრებიდგან არის ამოღებული.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაუმტკიცებია წესდება გურიის სამეურნეო-სამრეწველო საზოგადოების „შუამავლისა“.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნაკი, რუსულს ენაზედ, თ-დ გ. თუმანოვისა: **Разбои и реформа суда на Кавказѣ**, გადმობეჭდილი ჟურნალ **„Вѣстникъ Права“**-დგან.

ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „კათოლიკეთა ეკკლესია საქართველოში“, აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან. ზ. ჭიჭინაძე, კარგა ხანია შეუდგა მასალის შეკრებას კათოლიკეთა შესახებ საქართველოში და ამ საგანზედ მრავალი წიგნაკიც გამოსცა. სასურველია ამ მასალას მცოდნე კაცმა მოჰკიდოს ხელი და რიგიანად შეიმუშაოს, რომ ყველასათვის ნათლად იყოს გამორკვეული, რა ადგილი ეჭირა კათოლიკეთა სარწმუნოებას საქართველოში.

## შოთა რუსთაველის ძეგლის გამო.

ეს-ეს იყო გადვიკითხე ა. ფრონელის წერილი და გული მოძრაობისაგან ველარ შემიჩერებია. ამ მწერალს და მოღვაწეს მართლაც და ღირსეული საქმე უდვია თავს. განა ღირსი არ არის რუსთაველი, რომ ყოველი ქართველი, ქონებიანიცა და უქონელიც, ქალიც და კაციც მისის პოეზიის წინაშე მუხლს იყრიდეს და გულის წმინდით ემბორებოდეს?! ღირსი არ არის, რომ ყოველი, შეძლების დაგვარ, მსხვერპლსა სწირავდეს?! ჭეშმარიტად, ღირსია და არც დარჩება ავტორის განზრახვა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამისა გამო ბოდიშს ვიხდი ავტორისა და ქართველ საზოგადოების წინაშე, როგორც ღარიბი ხელოსანი, რადგან ღირსეული საფასე ვერ მომაქვს ჩვენის დიდებულის პოეტის წმინდათა წმინდა სამსხვერპლოზედ. ხოლო რადგან მესმის, რომ სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებაო, ამიტომ ვბედავ და გაახლებთ 3 მანეთს ფულს.

ერთი ხელოსანთაგანი ს. ბე—შვილი.

## საუბარი სახალხო სკოლების შესახებ

(ბ-ნ ივანე როსტომაშვილის წერილის გამო).

(შემდეგი *)

გერმანიის სკოლებში ხელით შრომის სწავლება პირველად გავრცელდა კლიუ-

*) იხ. „ივერია“ № 187.

სოფ-კაასის ქადაგებით, შემოიღეს ამ ხელობის სწავლება ბევრს სახალხო სკოლებში, არა მარტო პედაგოგიურის, არამედ საოჯახო სარგებლობის მხრითაც. კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ კაასმა შეამჩნია, რომ „охота къ ручному труду среди германскаго народа значительно понизилась“ (Русск. шк. 1892 г. № 10), რადგანაც თითქმის ყველა გერმანელი მიწის მუშა და მოქალაქეც იძენდენ ოჯახში სახმარებელ ნივთებს ხელით ნაშრომს პირდაპირ დუქნებიდგან სპეციალ-ხელოსნების დამზადებულებს, ვიდრე სკოლაში გაკეთებულებს ისეთის მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელმაც წესიერად ხელში შალაშინის დაჭერაც არ იცისო. მეცხრამეტე საუკუნეში პოზიტიურ ფილოსოფიის მიმართულებამ, რომელსაც სახეში აქვს კერძო ადამიანის ქვეყნიური ინტერესი, თვით სწავლა აღზრდის საქმეშიაც იჩინა თავი. კანტისა და სპენსერის აზრებმა პედაგოგიის საქმეშიაც კვალი დაამჩნიეს. პოზიტიური ფილოსოფიის მიმდევარნი ღაღადებენ, რომ „შინაურსა და საზოგადო აღზრდის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ადამიანმა იცოდეს, როგორ მოუაროს თავის საქმეს, როგორ განაგითაროს თავისი გონება, როგორ წაიყვანოს თავისი საქმენი, როგორ გახდეს კარგი მოქალაქე, როგორ ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომლითაც ბუნებას დაუჯილდოებია იგი, როგორ უნდა გამოიყენოს თვისი ნიჭი, რომ მეტი სარგებლობა შესძინოს თავისს თავს და სხვასაც,—ერთის სიტყვით—როგორ იცხოვროს სავსე ცხოვრებით“. ამ ვიწრო პრაქტიკული შეხედულობის მიხედვით ცდილობენ, რაც კი შეიძლება, მეტი რეალური ცოდნა, რომელიც ცხოვრებაში გამოსადეგია, თავიდანვე მისცენ პატარა ბავშვებსაც კი. მაგრამ ამ ვიწრო შეხედულობის გამეფება აღზრდის საქმეში, თავიდგანვე, აღზრდის პირველის ნაბიჯიდანვე, უსაფუძვლოა და მავნებელიც, რადგანაც ისე არაფერი არ ავნებს ბავშვის სულიერს მხარეს, როგორც თავიდგანვე მისი განათლება ტლანქგრძნობიურ, ნივთიერად სასარგებლო მიმართულებაში. ყოველი ქვეყნის ჭეშმარიტნი და დიდებულნი მოაზრენი ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ რომელისამე სახალხო სასწავლებელს ჰქონოდა პრაქტიკული მიმართულების ხასიათი. რასაკვირველია არავინ უარს არა ჰყოფს ზოგიერთ რეალურ ცნობების შეძენას და არც არავინ წინააღმდეგი არ უნდა იყოს იმისი, რომ ამისთანა ცნობები, როგორც დამატებითი საშუალება მოწაფის გონების განვითარებისათვის, ისწავლებოდეს სკოლებში, მაგრამ წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ ამ გვარი ცნობების სწავლება აღიარებული იქმნას სკოლაში სწავლების თავ საქმედ. ამ საკითხის შესახებ კარგა ცნობილი ყოველგან თანამედროვე ნემეცების პედაგოგი კელნერი ამბობს: «меня всегда охватываетъ непріятное чувство, чувство противорѣчія между цѣлью и средствомъ, когда на росписаніяхъ уроковъ нашихъ народныхъ школъ я нахожу безконечное сплетеніе всевозможныхъ предметовъ, особенно изъ области такъ называемыхъ реальныхъ знаній. Пока эти школы будутъ выпускать воспитанниковъ въ жизнь по достиженіи ими 14 лѣтъ или даже не много моложе,—мы не въ состояніи будемъ сдѣлать по этимъ предметамъ чего нибудь, что имѣло-бы продолжительное значеніе для практической жизни. Инспектора школъ, которые могутъ и хотятъ видѣть, легко убѣдятся по опыту, что всѣ успѣхи въ этой области, которыми предъ ними хвастаются, большею частью мертвый хламъ въ памяти, не болѣе какъ крохи съ трапезы богатыхъ. Большая ошибка смотрѣть на матеріалъ преподаванія въ этихъ предметахъ какъ на цѣль, потому что при существующихъ условіяхъ пріобрѣтамое здѣсь знаніе будетъ всегда самое незначительное».

სახალხო სკოლის, მის დანიშნულებას და მასწავლებელს საუკეთესო თანამედროვე რუსთა პედაგოგ მწერლებიც ასე უყურებენ დღესაც: «народный учитель прежде всего и главнѣйше долженъ заботиться о томъ, чтобы руководимая имъ школа давала удовлетворительные результаты въ учебномъ отношеніи, чтобы въ ней основательно проходилось то, что положено ея программой (იხ. ჟურნ. Русск. шк. № 9 1892 წ.

ამ ათი წლის წინად პეტერბურგში მიწვეულნი იყვნენ სახალხო სკოლების დირექტორები სახალხო სკოლების პროგრამის გადასათვალიერებლად. დირექტორთა კრებამ კატეგორიულად უარი განაცხადა, სამეურნეო ცნობების სწავლების შემოღებაზე სახალხო სკოლებში და ერთხმად გადასწყვიტეს, რომ საზოგადო განათლების საგნების პროგრამა შეუცვლელი დარჩენილიყო, მათის აზრით სახალხო სკოლას ვერ დავავალებთ პროფესიონალური ცნობის გავრცელებას, არ შეიძლება მოვსთხოვოთ სახალხო სკოლას მოამზადოს სოფლის მეურნეები, აგრონომები, ხელოსნები, მებაღე-მებოსტნეები და სხ., როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რადგანაც მათის აზრით, სკოლა რჩება „განკერძოებულად ცხოვრება ბუნებისაგან“ და არ იძლევა სასურველს შედეგს ხალხთა კეთილ დღეობის გაუმჯობესობაშიო. პირველ დაწყებითი სკოლისათვის ფრიად საკმარისია, თუ იგი ასრულებს თავის დანიშნულებას,—აღზრდის ისეთს პირებს, რომელსაც ბოლოს შეეძლოს ამა თუ იმ გლეხთა პროფესიის გონივრულად გაძღოლა, შეეძლოს ჭკვიანურად და გონივრულად დაწერილის წიგნების წაკითხვა და წაკითხულის გაგება. სახალხო მასწავლებელმა თავისი გავლენითა და მაგალითით უნდა ჩაუნერგოს გულში მოწაფეთ პატივისცემა სამეურნეო შრომისადმი, მისწრაფება თვით განვითარებისადმი და ის აზრი, რომ სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება. ამ ნაირად მოწყობილს სახალხო სკოლას უფრო შეუძლიან წინ წასწიოს ხალხთა განათლების საქმე და, რაკი ეს მოძრაობა შეიქმნება, ხალხი ამ პირობაში აღზრდილი თვითონ გამოიყენებს თავისს საზოგადო ცოდნას სხვა-და-სხვა კერძო სასარგებლო ცნობების შეძენაშიაც. ერთი ფრანგების ცნობილი პედაგოგი ამბობს: აზრი პირველ დაწყებითი სასწავლებლისა იმაში-კი არ მდგომარეობს, რომ ბავშვს ბევრი ცოდნა შესძინოთ, არამედ იმაში, რომ ბავშვს თვითონ თავის თავად შეეძლოს ბევრი ცნობების შეძენაო, საქმე თვით სწავლებაში-კი არაა—არამედ იმაში, რომ ასწავლოთ სხვას—თვითონ როგორ ისწავლისო“. სახალხო ერთკლასიან სკოლას ვერც ჩვენში, სადაც ისედაც ბევრი საგნები ისწავლება და ისიც არა პედაგოგიურს სისტემაზედ და ვერც რუსეთში არ შეუძლიან ერთსა და იმავე დროს ემსახუროს სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას და საზოგადო განათლების საქმესაც წაუძღვეს შესაფერისის ძალღონით ე. ი. ერთსა და იმავე დროს ორი კურდღლის მდევარი გახდეს და ორივე დაიჭიროს. ამისთანა მიმართულებას არა თუ ერთკლასიან, არამედ ორ კლასიან და საქალაქო სკოლებშიაც ბევრი უარსა ჰყოფს დღესაც. მაგრამ ამით ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ თვითოეულს სახალხო სკოლასთან არ იყოს გაშენებული შეძლებისა და გვარად ბაღი, ბოსტანი, ყვავილები, ფუტკარი, აბრეშუმის ჭია და სხ. პირიქით ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვალსაჩინო სწავლებისათვის, აგრეთვე მისთვის, რომ ჩაუნერგოთ მოწაფეებს ბავშვობიდანვე სიყვარული ბუნებისა და სამეურნეო ცოდნის შეძენისა მომავალში. ყოველს სასწავლო წიგნში მოთავსებულია რამდენიმე სტატიები, რომელიც ეხება მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგსაც. აი ამ სტატიების შეგნებით წაკითხვით და შიგ მოხსენებული საგნების თვალსაჩინოთ განხილვით სახალხო სკოლის მოწაფეები იძენენ სამეურნეო ტერმინებს, იმდიდრებენ სიტყვიერებას და თანდათან ემზადებიან, რომ შემდეგში ადვილად შესძლონ წაკითხვა და გაგება სახალხო სამეცნიერო წიგნებისა. ჩვენებური სახალხო სკოლის ერთს კერძო დანიშნულებას ეს უნდა შეადგენდეს და არა პირდაპირი მოთხოვნილება მეურნეობის შესწავლისა ისიც 8—12 წლის ბავშვის მიერ.

ბ-ნი როსტომაშვილი ჩვენებურს სახალხო სკოლებში მეურნეობის სწავლების შემოღების საბუთს ამყარებს საფრანგეთის სახალხო სკოლების მაგალითზე, სადაც სხვათა შორის, ზოგს ადგილას სკოლაში აძლევენ სამეცნიერო ცნობებს ბუნების მეტყველებიდგან და განსაკუთრებით ცნობებს მიწის შემუშავების შესახებ. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ბ-ნს როსტომაშვილს ამ შემთხვევაში ავიწყდება ფრიად საჭირო გარემოება, სახელდობრ ის, თუ რა განსხვავებაა ჩვენებურსა და საფრანგეთის სახალხო სკოლათა და მოწაფეთა შორის მომზადების მხრივ. საფრანგეთში და საზოგადოთ ევროპაში არსებობს სხვა-და-სხვა ტიპის პირველ დასაწყისი სკოლები. პირველ მათგანს შეადგენს ესრედ წოდებული დედობრივი სკოლები (écoles maternelles). ამ სკოლაში ასწავლიან პირველს პრინციპებს ზნეობისას, საზოგადო სახმარებელ საგნების თვალსაჩინოდ გაცნობას, ავარჯიშებენ ზეპირ სიტყვიერებაში, ასწავლიან ხატვას ბადეებში, წერა-კითხვას, ანგარიშიდან—რიცხვების შესწავლას 100-მდე, ოთხს მოქმედებას, მეტრიულს სისტემას, ზეპირ ანგარიშს, ცნობებს ბუნების მეტყველებიდგან: ადამიანის სხეულის ნაწილებს, ცხოველებს, მცენარეებს, მადნეულობას სხვა-და-სხვა კოლლექციებიდგან, რომელნიც შეგროვებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან. ასწავლიან სამშობლოს მოკლე გეოგრაფიას, ქვეყნის ნაწილებს, მიწა და წყალს, მდინარეებს, მთებს, საფრანგეთის უმთავრეს ქალაქებს, შესანიშნავ ისტორიულ მოთხრობებს საფრანგეთის შესახებ, სიმღერა, გიმნასტიკა და სხ. ამ ნაირად მომზადებული ბავშვი, რომლის მომზადებაც უდრის მეტ-ნაკლებობით ჩვენებურის ერთ-კლასიან სკოლების მომზადებას, დედობრივის სკოლებიდან გადადის ესრედ წოდებულს პირველ დაწყებითს სახალხო სკოლაში (écoles primaires élémentaires), რომელსაც აქვს ექვსი ან შვიდი წლის კურსი და თითო კლასს ჰყავს თითო მასწავლებელი. არაფერი გასაკვირველი არ არის რომ ასეთის მომზადების და ხანგრძლივის სწავლების შემდეგ საფრანგეთის სახალხო სკოლების უფროსს კლასებში ზოგან მეურნეობის რომელსამე დარგსაც ასწავლიდნენ, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, თუმცა-და საფრანგეთში მეურნეობისა და მრეწველობის აყვავების საქმეს მარტო სკოლები კი არ უწყობენ ხელს, არამედ ათას გვარი სხვა-და-სხვა ამხანაგური და კერძო დაწესებულებანი, კერძო თაოსნობა, ამხანაგობა, აუარებელი სხვა-და-სხვა ტიპის სპეციალური პროფესიონალური სასწავლებლები და სხ. შემცდარი აზრი იქნება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის სახალხო სასწავლებელი ამზადებდეს პირდაპირ სპეციალისტებს ამა თუ იმ ხელობისას. ეს სასწავლებლებიც, როგორც ყველგან სახალხო სკოლები, აძლევენ მხოლოდ მცირე ცნობებს, რომლის საშუალებითაც სკოლის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ სამეცნიერო წიგნების კითხვა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთის ცნობილის ფრანგის სიტყვებს: „თუ გინდათ შეინახოთ სოფლელი ბავშვი სოფლისათვის, ამბობს იგი, და არ გინდათ, რომ იგი მოხვდეს ანუ რკინის გზაზე მოსამსახურედ, გაუხსენით მას გემოვნება მიწის მუშაობისა, ბუნების სიყვარულისა, ამისათვის იგი უნდა შეიქმნეს თვალ-საჩინო მხილველი ყოველ იმ მოვლენათა, რომლის შესახებ მას ესაუბრებიან. მას თვალსაჩინოდ და ცხადათ უნდა გაეგებოდეს ყველა ტეხნიკური სიტყვები, რომელთაც იგი შემდეგ შეხვდება სამეცნიერო სამეურნეო წიგნებში და მაშინ იგი ადვილად გაიგებს ნიადაგის შედგენილებასაც, მოარჩევს შესაფერისს პატივს, საქონლის ს კვებავს და ბ ჩევს საუკეთესო თესლეულებასაცაო“.

ლ. ბოცვაძე

(დასასრული იქნება)

## ჩვენებური ამბები

**ქუთაისის** სათავად-აზნაურო სკოლაში მრავალი ბავშვი მიუყვანიათ თურმე, მაგრამ უმეტეს ნაწილს უარი გამოეცხადა. უმცროს მოსამზადებელ კლასში 100 ბავშვს დაუჭერია ეგზამენი და მათგან, თუმცა 70 შესაფერი ცოდნა ჰქონია, მხოლოდ 48 ბავშვი მიუღიათ.

—

**ს. ურიათუბანი.** მღვდელ იროდიონ ჩეკურიშვილის მკვლელობას აბრალებენ, სხვათა შორის, ამ სოფლის მცხოვრებთ ივანე დათუნაშვილსა და კირილე რუსიშვილსა, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან.

—

**ბათომის** ქალაქის გამგეობას განუზრახავს დააარსოს ელევატორი, გემების დასატვირთველად ნავთის სავსე ყუთებით. მილით წყალის გაყვანის პროექტი, ინჟენერ მიხაილოვის მიერ შედგენილი, მინისტრთა კომიტეტს წარდგენია განსახილველად.

—

**ს. ზედა-შავრა** (რაჭა). წელს ზედა-შავრაში და საზოგადოდ რაჭაში ნაკლებია მოსავალი. ეს ერთი კვირაა, ჰქრის ქვენა ქარი, რომელმაც ზოგიერთგან სიმინდები წააქცია. ამასთან კიდევ საშინელი სიცივე იყო. ჩვენს ახლო მთებში ჩამოსთოვა კიდეც. მაგ., ს. ჟოშხის მთებს, (ლეჩხუმის მაზრა), რომელსაც ჩვენის სოფლის ზოგიერთ ალაგიდან შეხედავთ, გადაფარებოდა თეთრი ზეწარი, თითქო ზამთარიაო.

ზედა-შავრაში სიმინდები იქნება სიმაღლით ზოგან ერთი „არშინი“, ზოგან-კი სულ არ ვარგა. ამიტომ თუ ოჯახში სამი ან ოთხი კაცია, იძულებულნი არიან ერთი კაცი შინ დასტოვონ, რადგანაც ბევრი ჯაფა არ ექმნება, დანარჩენნი-კი მიდიან სხვა-და-სხვა ქალაქებში ფულის საშოვრად.

აქეთ სწავლა-განათლება ნაკლებია, რადგანაც ამ სოფელში არც სასწავლებელია და არც სამკითხველო არსებობს, რომელსაც შეუძლიან ხალხის განვითარება. მხოლოდ ერთი სასწავლებელი არის სოფ. პატარა ონში, სადაც არის სოფლის სასამართლოც. ეს სასწავლებელი ოთხის ვერსის მანძილზეა ჩვენს სოფელზე. არის კიდევ სხვა სოფლებიც შვიდი-რვა ვერსის მანძილზე, მაგ., ს. ცახი, გოგოლათი, ხონჭიორი და სხვა. ეს მანძილი უნდა გაიაროს რვა-ცხრა წლის ყმაწვილმა ცავს ზამთარში და კიდევ გამობრუნდეს სასწავლებლიდან. ამისთვის ოთხმა სოფელმა, საიდანაც უფრო დაშორებით არის სასწავლებელი, სთხოვა მთავრობას დაეარსებინა მათთვის სასამართლო და მასთან სასწავლებელიც. „განაჩენი“ კიდეც გაჰგზავნეს, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი ამბავი არ მოსულა.

გ. შავრელი.

—

**ს. ღები** (რაჭა). მთის პირობაზე ღებელები კმაყოფილნი ვიყავით წლევანდელ ჭირნახულის მოსავლითა. თუ მე-

# ფელეტონი

### ჩაისა და ღვინის ბაასი.

ჩაი და ღვინო გაჯიბრდნენ,
ზმებით დაიწყეს კამათი:
საქვეყნოდ გამოდიოდა
სიტყვა-პასუხი ამათი.

—

ულვაშ-აპრეხილ ნუნუას,
დოინჯი შემოეყარა;
ყურთმაჯებ-გადაგდებული,
თავს იწონებდა, მკვეხარა.

—

მას გვერდში ამოსდგომოდა
მდუღარე ჩაი, წყალ-წყალა,
იბერებოდა ტიკივით,
არც ღონე ჰქონდა, არც ძალა.

—

თავი კი მაინც მოჰქონდა:
„უწყინარი ვარ ტკბილიო;
თან განათლებას მოვჰყევი,
უცხო ქვეყნის ვარ შვილიო“.

—

ერთმანეთს უკიჟინებდნენ:
„ჩამოდექ!.. გზა და გაიო!..
ჩვენში ვინც სჯობდეს, მას დარჩეს,
ბურთი და მოედანიო!“

—

გადიხარხარა ნუნუამ:
„რაები შესმის ესაო?!.
მისი ოჯახი დაიქცეს,—
ვინც ჩვენში ჩამოგთესაო!

—

მოსულხარ ბრიყვი ქვეყნიდან,
სიბრიყვეც თანვე გდევსაო;
ვინ ნახა ნაცარ-ქექია,
რომ შეეჭიდა დევსაო?!.

—

ვინ შენ და ვინ მე? სად ღვინო
და სად ნადუღი წყალიო?!
დიდს და პატარას, თანსწორად
ჩემზედ უჭირავს თვალიო.

—

არც ლხინი ვარგა უჩემოდ,
არც ჭირი ითქმის ჭირადო;
შენ ვინ გახსენებს, არც ერთგან,
არ ღირხარ დამპალ ჩირადო!

—

ნოესგან გამოგონებულს,
ზედაშეს მეძახიანო;
სუფრაზე ფეხს რომ შემოვდგამ,
შენ გაგირბიან... ფრთხიანო!

—

ვარ ქრისტეს ნუგეში,
დამშუშებელი წყლულისო
და მკვდრების შესანდობარი,
მოსახსენებლად სულისო.

—

შენ კი არც ღვთის ხარ, არც კაცის,
უბრალო ჩვეულებაო
და შენი თავიც უშაქროდ
არავის ეტკბილებაო.

—

ფეხს ნუ წამოჰყოფ კუსავით,
ჩემთან ნუ მოგაქვს თავიო!—
საწუწკარი ხარ ბავშვების,
სნეულის საწრუპავიო!

—

პასუხი მისცა ჩაიმაც:
გულ-ფიცხო, მეტიჩარაო!
გაჩუმდი, მეტს ნუ ტრაბახობ!
რაც ვითქვამს, ისიც კმარაო.

—

კარგი რაცა გჭირს, რომ ამობ,
სიცუდს რაღად ჰმალამო?
ხანდახან საწამლავიც ხარ,
განა ყოველთვის მალამო?

—

ის აღარა ხარ, რაც იყავ,
სად გაქვს სიწმინდე ძველიო?
ეშმაკმა ქვეყნის სავნებლად
მაგრად ჩაგკიდა ხელიო.

—

არ იცი მოყვრის გატანა:
—ვაი შენს გადამკიდესო!—
ვინც მოგენდობა, გასწირავ
მიგყავს უფსკრულის კიდესო.

—

შეეპარები ნელ-ტკბილად
ყმაწვილებს თავ-მომწონესო;
ბრძენს ჭკუას დააკარგვინებ
და ვაჟკაცს მიხდი ღონესო.

—

მჭევრმეტყველს ენას დაუბამ,
დააწყებინებ ბოდვასო;
უწყინარსა და ღვთისნიერს
ჩააგდებინებ ცოდვასო.

—

თავ-აღერილი დადიხარ
ავ-კარგის გაურჩევლადო;
თან დაგდევს ჭინჭყლი და ჩხუბი
სისხლის და ცრემლის მთხევლადო.

—

მე რაც ვარ, ჰხედავს ქვეყანა...
ჩუმი და უწყინარიო;
ჭირში, თუ ლხინში, ყოველგან
ყველასთვის მოსახმარიო.

—

თუმც შენოდენი სახელი
არა მაქვს შენდა სწორადო,
მაგრამ მე მომიკითხავები
მეტი მყავს ერთი-ორადო.

—

ვერ ატყობ? მრჩება თანდათან
ბურთი და მოედანიო!—
დროს შესაფერი აღარ ხარ.—
დამითმე გზა და გაიო!

—

ამოიოხრა ნუნუამ:
მტერს-კი დაუდგეს თვალიო!
გაბრუდდა სასწორ-საზომი!..
სადღაა სამართალიო?..

—

მართლა რომ „დრონი მეფობენ“,
თორემ სად იყავ ძველადო?
ვინ გახსენებდა, წყალ-წყალავ,
სარეცხად, ან სასმელადო!

—

დროს შეეგუწარით უკუღმართს,
გვებნევა გზა და კვალიო,
რაც რომ კარგია, ვეღარ სჭრის,
ცუდსა აქვს გასავალიო.

—

შებღალეს ყურძნის სიწმინდე
და ჩვეულებაც ძველიო,
გოგირდით, შაბიამანით
იწამლვის როგორც გველიო.

—

ნაწამლი ღვინო კეთილად
აბა, ვის შეერგებაო?
მაგრამ ჭკუასაც ახლანდელს
ბევრი არ გაეგებაო.

—

მოუწავლავი არ დარჩათ
არც გრძნობა, აღარც ჭკუაო.
„ბუზიკა ბზუის—ამბობენ,—
მაგრამ ფუტკართან სტყუაო!

—

ვიცით და არა ვიცითრა...
ვართ და... სულ არაფერიო,
მოყვარე მტერი გვგონია,
მოყვრად მივიღეთ მტერიო.

—

„ფერი ფერს და მადლი ღმერთს“,
ხარ შენც დროს შესაფერიო!
მაგრამ მრწამს ქარი წაგიღებს,
ხარ ქარის მონაბერიო.

—

ცხენი მზად ჰყავდა კაზმული
გაბედვით სიმართლის მთქმელსა,
სთქვა და გაშორდა გულცივად
გაბატონებულ სასმელსა.

აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი არა, ნახევარი წლის სარჩოს მაინც ველოდით, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა კაცის უბედურება! მომკილი ნამჯა, რომელიც ჯერ კიდევ ყანებში გვედგა ზვინებად და დღე დღეზე გალეწვას ვუპირებდით ულმობელმა სტიქიონმა ნიორწყლად გვიქცია. აგვისტოს 18 ს, სალამოზე, აქ ისეთი საშინელი ქარი ამოვარდა, ისეთი კორიანტელი დატრიალდა, რომ თავზე მშვიდობა აღარავის გვეგონა. გარდა იმისა, რომ სასტიკმა ნიავ-ქარმა სახლის სახურავები თავზე გადაგვატყავა, ყანებში დადგმული ნამჯის ზვინები ერთი აღარ დააყენა ფეხზე, ისე აურ-დაურია, ისე აქანძ დაქანძა ნამჯა ერთმანეთში და მოსცხო ღობე-ყორეს, რომ პატრონებმა ვეღარც ნახევარს მოუყარეს თავი.

ლებელებმა დღემდის არ ვიცოდით, თუ რა იყო „კლიაუზნიკობა" და დღეს ჩვენებურმა კუდაბზიკებმა ამ ხრიკებსაც შეგვაჩვიეს. ამ უკანასკნელ დღეებში აქ მობრძანდა დაბა ონის პოლიციის ბოქაული ბ-ნი დგებუაძე გამოსაძიებლად ერთის კლიაუზობისა. ბოქაულმა ლმობიერის სიტყვით, მაგრამ საყვედურის კილოთი, მიჰმართა ხალხის ყრილობას: „ლებელებო! აგერ ოთხი წელიწადია, რაც მე თქვენში ბოქაული ვარ და, ჩემდა სასიხარულოდ, არავის თქვენგანისათვის აბეზარობა არ შემიმჩნევია. დღეს, როგორც ვხედავ და მესმის, თქვენც შემოგპარვიათ ეს მშვიდობიანობის დამარღვეველი სენი. როგორც მამაშვილს ისე გარიგებთ და გთხოვთ, ალმოფხვრათ ეგ უკულმართობა. ნუ აჰყვებით გაიძვერა „დანოსების" მჯღაბნელებს, რომლებიც თავის ჯიბის საბარაქოდ და მშიერ კუჭის გასაძღომად აბრიყვებენ გულ-უბრყვილო მდაბიო ხალხსა და სხ." ხალხის ყრილობამ მამაშვილურ დარიგებისათვის დიდი მადლობა უძღვნა ბოქაულსა.

ამავე აგვისტოს თვეში აქაურ მოძღვარს ესტუმრა ჭელიშის მონასტრის (რაჭაშია) წინამძღვარი არქიმანდრიტი მამა ამბროსი (ხელაია); მამა ამბროსის უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. როგორც ნასწავლი კაცი, იგი მეცნიერულის აზრით დიდის რაჭის ეკკლესიების სანახავად, იძიებს და იკვლევს ძველთა საეკკლესიო ნაშთთა: ჯვართა, ხატთა და ხელთ-ნაწერთა.

ლების ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება უნდოდათ. აგერ მეორე წელიწადია, რაც ამის შესახებ არც ავი რამე გვესმის და არც კარგი. გავიგეთ, რომ სკოლის მასწავლებელი დირექციას უკვე სხვაგან გადაუყვანია და მის მაგიერ ვის გვიგზავნიან მასწავლებლად, ჯერაც არ ვიცით.

მთიული წვერა

—

**ლეჩხუმი.** ლეჩხუმელებს ასე გვგონია, ღმერთს ჩვენც ადამიანებად, ხალხად გაუჩენივართ. მაშასადამე, რაც სხვა კუთხის ხალხისათვის არის საჭიროდ ცნობილი და აღიარებული ცხოვრებაში კეთილ წარმატების მისანიჭებლად, ჩვენთვისაც იგივე უნდა იყოს საჭირო. მაგრამ ჩვენი ჭირი მათთვის, ვინც ჩვენი სვე-ბედის მზრუნველად, მეთაურად აღრჩეული და დანიშნულია, მეტი რომ არა ვსთქვათ-რა, ღობის ჩხირია... რამდენი რამ გვიჭირს; რამდენ ნაირად უკან ვდგევართ ეხლანდელ ცხოვრების წარმატების გზაზე; რა ზომამდის დავიწყებული და აბუჩად აგდებული ვართ, ამას ვინ ჩამოსთვლის, და რომ ჩამოვთვალოთ, რა საჭიროა, რას გვარგებს, ვინ გაგვიგონებს ჩვენს იერემიასებურს გოდებას... მაგრამ მთლად დაბლუება ხომ იგივე სიკვდილია... ამისათვის აქ მხოლოდ ერთს ფაქტს აღვნიშნავ ჩვენის უნუგეშო ყოფა-მდგომარეობისას.

დიდს გაჭირვებაში ვართ სხვათა შორის იმითაც, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სადგური დასამხარს ადგილზე არა გვაქვს. ჩვენი ხალხის ცხოვრება კი ისეთს ხანაშია, რომ თითქმის ყოველ დღე სჭირდება ეს დაწესებულება. ლეჩხუმში ზემოხსენებული დაწესებულება, როგორც მოგეხსენებათ, დაფუძნებულია სოფ. ცაგერში, მაზრის განაპირე კუთხეში, რომელზედაც მაზრის მკვიდრთა უმეტესი ნაწილი დიდის მანძილით დაშორებულია და ვერ სარგებლობს საჭიროების დროზე ამ სასარგებლო დაწესებულებით. სამი მანეთი რომ ჰქონდეს კაცს გასაგზავნი ჩვენის ქვეყნის რომელსამე დაბა-ქალაქში, უნდა წავიდეს ონში, ან ცაგერში და ამ მგზავრობას უნდა უმსხვერპლოს, თუ მეტი არა, ხუთი ექვსი მანეთი მაინც. რაც შეეხება წერილებისა და დეპეშების გაგზავნასა და მიღებას, ეს ხომ ისე გაძნელებულია, რომ ამაზედ ლაპარაკი აღარც კი ღირს...

„გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო", ნათქვამია. სწორედ ასეთმა გაჭირვებამ გამოაჭყეტია გონების თვალი ტყვიშის საზოგადოებაში მცხოვრებ ხალხს, რომელმაც გარდასწყვიტა იშუამდგომლოს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ტოლის საფოსტო გზის სადგურთან დაარსონ ფოსტა-ტელეგრაფის სტანციის განყოფილება და, რაც ამის დაარსებას ხარჯი დასჭირდება პირველ ხანად, კანონისაგან ნაჩვენები, თვით საზოგადოებამ გარდაიხადოს. ჩვენა გვგონია, აღნიშნულის საზოგადოების აზრი და თხოვნა თანაგრძნობის ღირსია, რადგან იგი წარმოშობილია ხალხის კანონიერის საჭიროებისაგან და უარის თქმა მოსალოდნელი არ არის. მაგრამ რას გვარგებს ეს, თუ ჩვენი საჭიროება, ჩვენი გარდაწყვეტილება სათანადო მთავრობის ყურამდის ვერ მიაღწევს. ექიმმა რანაირად უნდა განკურნოს ის სნეული, რომელიც ვერ გააგებიებს, რა სტკივა და რითია დაავადებული?

ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ გულშემატკივარი, საქმეში წინ გამძღოლი, შეგნებული მეთაური არავინა გვყავს. ჩვენის ხალხის მეთაურები მხოლოდ სახელით უწევენ ხალხს მეთაურობას და საქმეში კი ძალიან ბერწნი ბრძანდებიან...

ტოლის სადგურთან დაფუძნებული ფოსტა-ტელეგრაფის სადგური მარტო ტყვიშის საზოგადოების საჭიროებას არ დააკმაყოფილებს, არ გაუწევს სამსახურს, არამედ ორ-სამ სხვა საზოგადოების საჭიროებასაც, რომლებიც ახლო, მეზობლად სცხოვრებენ აღნიშნულ საზოგადოებაზე. ამისათვის შეუფერებელად არ მიგვაჩნია, რომ ჩვენის მაზრის პატივცემულმა უფროსმა გადმოჰხედოს მზრუნველის თვალით ამ საქმეს და საზოგადოების აზრი და სათხოვარი კანონიერის წესით აუწყოს სათანადო მთავრობას და გასწიოს შუამდგომლობა, რომ შეწყნარებულ იქნას საზოგადოების აზრი და თხოვნა.

ცუდი დრო დაუდგა ჩვენს ეკკლესიებს და მისის ტრაპეზის მსახურთ. ეკკლესიებს სტეხენ და სცარცვენ. ინგრევა, ირღვევა მოუვლელობისა და უპატრონობის გამო მამა-პაპათა მიერ აღშენებული თაყვანსაცემი ძეგლები. სამღვდელოება ქრისტეს მოციქულთა მოადგილეთ აღარავის მიაჩნია; მათზე სასოება აღარავისა აქვს. თავს ესხმიან წმიდა ტრაპეზის მსახურთ, შეურაცხჰყოფენ და ართმევენ, თუ რამ გააჩნიათ. ამას წინად ერთს მოხუცებულს მღვდელს შესცვივნიან სახლში ღამით ბოროტ-მოქმედნი და, რაც რამ მოუხელებიათ, გაუტაციათ; ესეც არ უკმარებიათ და როგორც ამბობენ, საბრალო მოხუც მღვდელზე და მის მეუღლეზე მახვილიც-კი უხმარიათ.

მოგეხსენებათ ჩვენში ბევრი დახელოვნებული დიპლომიანი თუ უდიპლომო ვექილები მოიპოებიან, რომლებიც არც ხვნენ, არც სთესენ, მომკით-კი ბლომად იმკიან, მაგრამ არა გვგონია ჩვენისთანა გამოცდილი და დახელოვნებული ვექილ-აბლაკატები სხვა რომელსამე ჩვენის კუთხის ხალხს ჰყავდეს. ჩვენს ადვოკატებს საექილო სწავლა-მეცნიერება შეძენილი აქვთ მოსკოვის ჟულიკების აკადემიაში და, უნდა მოგახსენოთ, ჩინებულადაც აქვთ შესწავლილი მთელი მეცნიერება ზემოხსენებულის აკადემიისა. აკადემიკოსნი ვექილნი თვითონ დაეძებენ კლიენტებს და ვისაც-კი ჩაიგდებენ ხელში, ისე გააძრობენ ტყავს, ამოაძრობენ პირიდან ლუკმას, რომ ვერც-კი გაუგებს. ბევრი ისეთი საქმეები ჩაუდენიათ ამ სახელოვან ვექილთ, სხვა ქვეყანაში რომ იყვნენ, ვირის აბანოში დააბინავებდნენ. მაგრამ ლეჩხუმში-კი ვინ აუფრენს თვალიდამ ბუზს?!.

ქაიხოსრო გელოვანი.

## რუსეთი

რამდენიმე ერობა სთხოვს მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას. ერობანი პირობას სდებენ, რომ საჭირო შენობას ჩვენ ავაგებთო.

— მთავრობა ჰფიქრობს, გაადვილოს საქმე საზოგადო მფლობელობაში მყოფის მამულის გამიჯვნა-განაწილებას სცდილობს, აგრეთვე სამამულო საბუთების შეძენის გაიაფებას და ამ საქმის შესახების ფორმალობის გაადვილებას, როცა მაგ., ერთი მცირე მამული მეორის ხელში გადადის, ანუ ერთი ნაჭერი მამულისა მეორეზე უნდა გაიცვალოს, რათა შუაში სხვისი მამული არ იყოს ჩახჩირული.

— რკინის გზებმა 1899 წელს მისცა ხაზინას 24 მილიონი მან. წმინდა მოგება. მას უკან მოგება რკინის გზებისა თანდა-თან კლებულობს.

— მოსკოვმა 49 ათასი მანათი კიდევ გადასდო ზედ-მეტი საქალაქო სკოლების გასამრავლებლად.

— 13 ბიბლიოთეკა უნდა დაეარსებინა საგუბერნიო ერობას გოგოლის სახელობაზედ, თითო-თითო მაზრაზედ. ნებართვა მიიღო ჯერ მხოლოდ ათი ბიბლიოთეკის დაარსებისა.

## უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** უნგრეთის პოლიტიკური მდგომარეობა დღითი-დღე რთულდება და არც იცის კაცმა, როდის მოეღება ბოლო ამ კრიზისსა. ლუკაჩის მეთაურობით სამინისტროს შედგენა არ მოხდა. გაზ. „ბერ. ტაგებლ."-ის ბუდაპეშტელი კორესპონდენტი სწერს,—ლუკაჩის უარმა სრულიად ახალი მიმართულება მისცა საქმესაო. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ხელ-ახლად მიჰმართა კუენ ჰედერვარისა და სავანგებო სადარბაზოდ მიიწვია იგიო.

მთავრობა ამ ჟამად მხოლოდ იმისათვის ჰზრუნავს, რომ როგორმე ლიბერალთა დასი შეაერთოს. თანახმად იმპერატორის სურვილისა, ლიბერალთა დასს, ერთ უახლოესს კრებაზე თათბირი ექნება სამხედრო საკითხის შესახებ, რათა ერთს რომელსამე გარკვეულს გზას დაადგეს; მხოლოდ მხარი უნდა მისცეს ფრანც-იოსების პროგრამმას და იმ საკითხებს, რომელიც იმპერატორმა დასთმო, გარდა იმისა, რომ უნგრეთის მხედრობის გაწვრთნა-სწავლება უნგარულს ენაზედ სწარმოებდესო".

გაზ. „ტაიმსი"-ს ვენელი კორესპონდენტი შენიშნავს,—უნგრეთის ფინანსთა მინისტრ ლუკაჩის უარმა სამინისტროს შედგენაზედ დიდად გააკვირვა ვენის საზოგადოება, თუმცა იმასაც-კი ამბობენ, მინისტრმა თავისი უარი საფუძვლიანად დაასაბუთაო. კიდეც რომ ედვა თავსა კაბინეტის შედგენა,—დიდხანს ვერ გასტანდა, რადგან ლუკაჩი ვერ შესძლებდა იმ დაბრკოლებათა დათრგუნვას, რომელიც აფერხებს უნგრეთში ნორმალურ წესების აღდგენასაო.

ეხლანდელი მდგომარეობა იმდენად სამძიმოა, რომ შეუძლებელია რამე ეშველოს საქმეს, თუ ახალს სამინისტროს გარკვეული მიმართულება არ ექმნაო.

მომავალი ახლა მეტის წყვდიადითაა მოცული, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და მოსალოდნელია, რომ კრიზისმა სეკდემბრის დამლევამდე მაინც გასტანოსო. ამ პოლიტიკურს კრიზისს მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა ვაჭრობა-მრეწველობისათვის და მთელი ქვეყანა დიდად დაზარალდაო.

**ოსმალეთი.** 24 აგვისტოს ქრისტეანთა უბანს სტამბოლში „მერჩაას" თავს დაესხნენ სრულიად უმიზეზოდ ოსმალნი და მოჰკლეს ათი ქრისტეანი, მათ შორის ერთი ამერიკელიც, და დასჭრეს მძიმედ ათი კაცი; მთელი ქალაქი შიშის ზარმა მოიცვაო. ეს ამბავი მიღებულ იქმნა გერმანულ დეპეშათა სააგენტო „ვოლფი"-ს ამ სააგენტოს ყველაზედ უფრო დაეჯერება, რადგან გერმანია ოსმალეთის მოსარჩლეა და სააგენტოს მიერ გამოგზავნილ ამბავს არ გააზვიადებდა. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გაბოროტებულ ფანატიკოს მაჰმადიანების ქრისტეან მცხოვრებთა საწინააღმდეგო მოქმედება დღითი დღე იზრდება და სწორედ ამ ზრდამ იმსხვერპლა რუსეთის ორი კონსული: შჩერბინა და როსტკოვსკი. იგინი მოკლულ იქმნენ ოსმალეთის პროვინციებში, მაგრამ ამნაირსავე მოძრაობას ქრისტეანთა წინააღმდეგ ახლა ოთმანის იმპერიის სატახტო ქალაქ სტამბოლშიაც უჩენია თავი. ცხადია, რომ ყოველივე ესა ჰხდება ილდიზ-კიოსკის ნებისა და სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ რადგანაც პორტამ იმდენი ძალ-ღონე ვერ გამოიჩინა, რომ მოესპო მაჰმადიანთა მტრობა ქრისტეანთა მიმართ, შეგვიძლიან ვიფიქროთ,—ოსმალეთის მთავრობას არ შესწევს იმდენი მხნეობა, რომ დაიცვას ქრისტეანე მცხოვრებნი გაბოროტებულ და გაფთრებულ მაჰმადიანთაგან; პორტას არ შეუძლიან ქრისტეანთა სიცოცხლე უზრუნველ-ჰყოს, არამც თუ პროვინციებში, არამედ თვით სტამბოლშიაც-კი. თუ სატახტო ქალაქში ასე ჰხდება, რაღა უნდა ჰხდებოდეს შორეულ პროვინციებში, სადაც უფრო გამძვინვარებულია ოსმალთა ფანატიზმი და უფრო აღელვებულნი არიან ქრისტეანთა წინააღმდეგ? ამ პროვინციებში ხომ არ არსებობს ცენტრალური მთავრობის ზედამხედველობა? ყოველ შემთხვევაში, თუ პორტა თავის პირითვე ფაქტიურად არ აღიარებს, რომ ის სუსტია, არ შეუძლიან აღადგინოს წესიერება, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქრისტეან მცხოვრებთა დაცვა მარტოოდენ ევროპას შეუძლიან და დროითვე უნდა ჩაერიოს კიდეც ოსმალეთის აწეწილ-დაწეწილ საქმეებში.

ივნისში 451 წელიწადი შესრულდა, რაც სტამბოლი დაეცა. სტამბოლს დამკვიდრდა ისლამი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მაშინდელს ევროპას და ყველა ყურმოჭრილ მონად გახადა ოსმალეთისა და მისის მთავარსარდლის ხონთქარ მაჰმედ II-სა. ამ შიშმა კარგა ხანია ნირი იცვალა. თუმცა ქრისტეანი მცხოვრებნი ევროპის მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ, მაგრამ ნამდვილად-კი ოსმალეთის მონობაში-კი ჰგმინავენ. საქრისტეანო ევროპა იმდენად გაძლიერდა და გაღონიერდა, რომ დიდი ხანია საჭირო იყო ევროპა სრულიად განთავისუფლებულიყო ოსმალეთის მეზობლობისაგანაო. 1815 წ. ევროპის ოსმალეთს ეჭირა ევროპაში 568,616 კუბოკრული კილომეტრი ადგილი და ჰყავდა $13\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრები. ამ ჟამად-კი, როდესაც განთავისუფლდნენ საბერძნეთი, რუმინია, სერბია და ბულგარია, ოსმალეთმა დაჰკარგა ერთი მესამედი თავის სამფლობელოსი და დარჩა მხოლოდ $6\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრები ევროპაში; მათ შორის უნდა ჩაითვალოს კრიტის მცხოვრებნიც.

სტამბოლის მცხოვრებთა რიცხვი ახლო-მახლო ქალაქებითურთ ეხლა უდრის 1.110,000. მათ შორის ნახევარზე მეტი ოსმალი მუსულმანები არიან. 1885 წლის აღწერით სტამბოლში 150 ათ. ბერძენი იყო, 149,000 სომეხი, 44,000 ბულგარი და 130,000 უცხოელნი და ამ გვარად, სტამბოლს ქრისტეანთა რიცხვი თითქმის ნახევარ მილიონამდე აღწევს.

## ნარკვევი

გრ. სტარცევს, რომელიც ამას წინად გაზ. „ბაკუ"-ში მუშაობდა და იძულებული იყო განშორებოდა მილიონების ქალაქს, ახლა „ნოვოსტ"-ში გაუჩენია ბინა. იქ სტარცევი სწერს სიონიზმის შესახებ. ებრაელთ სდევნიან, პატივს არა სცემენ, ურიას ეძახიან, ადამიანიშვილებად არ მიაჩნიათ საცოდავნი ისრაელნი და ამიტომ მეტად დაჩაგრულნი არიან, გულჩათხრობილნი, გაუბედურებულნი. ამიტომ უნდათ გაცვინდნენ სადმე აფრიკაში ან პალესტინაში, რომ იქ დაიარსონ საკუთარი სახელმწიფო, რომ აღარავინ შებლახოს იმათი თავმოყვარეობა, ადამიანობა.

ამბობენ, რომ ნაციონალიზმი ავადმყოფობაა, სახიფრობაა. შეიძლება, მაგრამ ეგ ავადმყოფობა ისევე ბუნებრივია, ისევე შვენიერია, როგორც მეტის-მეტად განმასხვებული თავ-მოყვარეობა ღარიბისა. როგორც ღარიბი, ისე პატარა ერნი იმახვილებენ, იძლიერებენ ეროვნულს თავმოყვარეობას უმწვერვალესობამდე. და მერე ვინ უნდა დაჰკრიბოს იგინი ქვით ამისათვის?

ეგ თავ-მოყვარეობა ხომ ერთად-ერთი მათი იარაღია, ეგ არის ერთად-ერთი მათი ხსნა. ეგ გრძნობაა, რომ უკრძალავს სხვა ერთ შეუერთდნენ, დაჰკარგონ ვინაობა, თავისებურობა, ტიპიურნი თვისებანი.

ვიცი, მეტყვიან: დაე, გაჰქრნენ პატარპატარა ცალკე ერნი, დაე, შეუერთდნენ დიდთა ერთა და შეადგინონ ერთი რამ დიდებული... მენშიკოვი სწერს „ნოვოე ვრ."-ში:

— სისულელეა და უზნეობა, რომ პატარა ერნი თავ-გამოდებულნი არიან თავიანთ ეროვნულ არსებობისათვის... მაგისი უფლება აქვს მხოლოდ დიდს ერს.

მენშიკოვს ავიწყდება, რომ მთელი პროგრესი კაცობრიობისა, საუკეთესო ფერადები მისის სიცოცხლისა, მთლად შვენება და პოეზია ამ სიცოცხლისა, უფრო ლივე ეს ისაა დამყარებული ამ ცალკე-ცალკე ეროვნებად დაყოფაზედ, როგორც ბურჯსა და საფუძველზედ... აბა, გაჰქრნენ ცალკ-ცალკე ერნი და ჰნახავთ, რომ გაჰქრება ისტორიაც, ხელოვნებაც, პოეზიაც, გაჰქრება ყოველივე, რაც შნოსა და ლაზათს აძლევს ჩვენს სიცოცხლეს.

როგორც თითოეული კაცი, თუ სული დაჰკლავს და დაჰკარგავს, და ისეთ ადამიანად გადაიქცა, როგორც სხვები, სულ უინტერესო კაცი-დაა, მოსაწყენი, უსულგულო, თითქო სამარეაო, ისე ერიც, რომელიც სწყვეტს კავშირს წარსულთან, ივიწყებს თავისთავს, ვეღარას მისცემს კაცობრიობას თავისას, ვეღარა წვლილს ვერ შეიტანს მის აზრთა სალაროში...

ბოლოს სტარცევი ასე ათავებს:

პატივს სცემენ მხოლოდ იმას, ვინც თვითონა სცემს თავის თავს პატივსა.

თუ მე თვითონ უარ-ვყოფ ჩემს ეროვნებას, ვიჯმნი მამა-პაპათა სარწმუნოებისაგან, მთლად წარსულისაგან, განვიძარცვავ ეროვნულს გარეგნობას, უპირადო, ურომელო გხდები, გისისამე გულის მოსალბობად, იმ ვინმეს მაშინ მევე ვაძლევ საბუთს აღარა სცეს პატივი ჩემ მიერვე დამსხვრეულ ძვირფას სიწმიდეთა. მე პირველი ვთათხავ ტალახში იმ სიწმინდეს და მძულვარებით ვუცქერი...

ებრაელთ ისეთივე უფლება აქვთ თავისუფალი არსებობისა, როგორც ყველა სხვას! გარნა ეგ უფლება უნდა მოიპოვონ... საჭიროა განიძლიერონ ეროვნული გრძნობა. უამისოდ არც თავ-მოწონებაა, არც ძალა, არც უფლებაა ბედნიერებისა...

## თეატრი და ხელოვნება

**ქ. ოზურგეთი.** ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, აქაურმა სცენის მოყვარულთა დასმა გამართა მეხუთე წარმოდგენა ალ. წუწუნავას საბენეფისოდ. წარმოადგინეს „ერთი ნაბიჯი წინ" ა. ცაგარლისა და „ორი მშიერი". თუმცა, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები გადაელობა წინ ამ წარმოდგენას, მაგრამ მაინც მწყობრად ჩაიარა. კარგები იყვნენ: ქ-ნი ჰდივანი ელენეს როლში, ბ-ნი მოზენეფისე—ივან სპირიდონიჩის როლში; ბ-მა კ. ბებურიშვილმა ხომ საუცხოვოდ შეასრულა ლევან ბედკრულაძის როლი. ქორაძის როლს ასრულებდა ბ-ნი უწყინარიძე და საკმაო იყო უსიტყვოდ გამოსულიყო სცენაზე, რომ დაუსრულებელი სიცილი ატეხილიყო, რადგან ისეთი გრიმი და პარიკი გაეკეთებინა, რომ ნამდვილ ცირკის „რიჟას" მოგაგონებდათ! რაც შეეხება როლის ასრულებას, არა უშავდა-რა, მაგრამ მეტი გადაჭარბება ეტყობოდა. არა უშავდათ-რა დანარჩენებსაც.

„ორი მშიერი" შესამჩნევად წარმოადგინეს ბ-ნმა ა. წუწუნავამ და ვ. უწყინარიძემ, ასე რომ საზოგადოების სიცილს დასასრული არ ჰქონდა. ბ-ნი ს. ხურციძე ასრულებდა კაკულას როლს. მაგრამ მეტად გადააჭარბა უწმაწურის სიტყვების რახა-რუხით. მას თავისი თავი მართლა „ტრახტირში" ეგონა.

საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

როგორც ნამდვილად გავიგეთ, ბ-ნი ალექსანდრე წუწუნავა, ერთ აქაურ სცენის მოყვარულთან, კ. ბებურიშვილთან ერთად პეტერბურგში აპირებენ დრამატიულ კურსებზე წასვლას და ეს ბენეფისი იმ აზრით იყო გამართული. იმედია, ოზურგეთის პატივცემული საზოგადოება, დახმარებას აღმოუჩენს ამ ორ ახალგაზრდა კაცს, რომ თავისი მეტად სიმპატიური განზრახვა სისრულეში მოიყვანონ.

მხიარულიძე.

## ბიბლიოგრაფია

„Живое Слово", Корханиди, выпускъ первый, изданіе третье. Тифлисъ 1903 г. Цѣна 40 коп.

მესამე გამოცემაო? გაკვირვებით იკითხავს მკითხველი. პირველი და მეორე გამოცემა ამ წიგნისა რატომ არ გაგვიგონიათ აქამდინ?

არ გაგვიგონიათ, იმიტომ რომ წინად ეს წიგნი შინაურად იბეჭდებოდა ადგილობრივ საეპარქიო საბჭოს მიერ ბერძნული სკოლებისათვის, და ახლა კი თვითონ ავტორმა გამოსცა და უფრო ფართო დანიშნულება მისცა. ეს მესამე გამოცემა, გარეგნობით ბევრად სჯობია წინანდელებსა. ქაღალდი კარგია, შრიფტი გაუცვეთელი, სურათები ბლომად, საწერი დედანი სუფთად არის ამოჭრილი და დაბეჭდილი. რაც შეეხება შინაარსს, წინანდელი ორი გამოცემა ძრიელ ჰგავდა ჩვენებურს „Русское Слово"-ს, ეს მესამე გამოცემა კი ავტორს უფრო დაუმსგავსებია ჩერნიავსკის წიგნისათვის: «Русская Рѣчь». საზოგადოდ, ავტორს თავისი საკუთარი ნააზრი თითქმის არაფერი შეუტანია თავისს

სახელმძღვანელოში... მიუხედავად ამისა მისი სახელმძღვანელო ბერძნული სკოლებისათვის ნამდვილად სასარგებლოა. [illegible]

სული სახელმძღვანელო, შედგენილი ბერძნულის ენის მიხედვით, სრულიად არ გამოდგება ქართულის სკოლებისათვის. კავკასიონის ხალხები დიდს ხანს იყვნენ ქართველის ერის კულტურულის გავლენის ქვეშა, და ბევრში იმდენად დაემსგავსნენ მას, რომ გამოჩენილმა მსწავლულმა უსლარმა შესაბამად სცნო ქართული ანბანი გამხდარიყო საერთო ანბანად კავკასიაში. ზღაპრები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, კუთვნილებანი ყოფა-ცხოვრებისა საქართველოდგან ვრცელდებოდა კავკასიის ყველა ხალხებში და სულიერს კავშირს განამტკიცებდა. ამის გამორუსული ენის სახელმძღვანელო, შედგენილი ქართულის ენის მიხედვით, მეტნაკლებობით გამოადგებოდა სხვა კავკასიის ერებსაც, დასჭირდებოდა მხოლოდ ცალკე სიტყვების გადათარგმნა მათს ენაზედ; მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენებურმა პედაგოგებმა ეს არ იკადრეს, რადგანაც სურდათ, რომ ყველა კავკასიის ერს თავისი ეროვნების მიხედვით შეედგინა რუსულის ენის სახელმძღვანელო, და რად იკადრა ეს ბ-ნმა კორხანიძემ, მეტადრე მაშინ, როდესაც ასეთი დიდი განსხვავებაა ქართულსა და ბერძნულს ენაში.

ბ-ნს კორხანიძის სწადიან ჩვენს სკოლებშიაც დაიჭიროს ის ადგილი, რომელიც ჩვენებურს „Русское Слово“-ს უჭირავს. მაგრამ ეს რას ჰგავს. ამ წიგნის სანაცვლოდ შეუძლიან შეადგინოს არა უვიცმა ქართულს ენასა და სიტყვიერებაში, არამედ განვითარებულმა ქართველმა პედაგოგმა, რომელსაც კარგად ეცოდინება ქართულის და რუსულის ენის აგებულობა, მათი შედარებითი გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ყოფა-ცხოვრება. ბ-ნი კორხანიძის საქციელი გვაგონებს ერთი ბერძენის მღვდლის წადილს, რომელმაც ქართული სრულიად არ იცოდა და ქართულ სოფელში-კი მღვდლობას თხოულობდა.

## წ ე რ ი ლ ი
### რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი მ ა რ თ.

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც ჩემის მხრივ, აგრეთვე მთელი მეჯვრის-ხევის წმიდა მარინეს მრევლის მხრივ კნეინა ალექსანდრა დავითის ასულს ერისთავისას, რომელიც ჩემდა რწმუნებულ მეჯვრისხევის წ. მარინეს ეკლესიისთვის დაუღალავად შრომობს და სცდილობს მისს გამშვენიერებას, მათ არა ერთ გზით აღმოუჩენიათ შემწეობა: ფულით, ნივთით და გალავნის გასაფართოებელ ადგილის შემოწირულობით. აი, ეხლაც, ზემოხსენებულის ეკლესიის გასადიდებლად და გადასაკეთებლად თვის ნათესავთა და ნაცნობთა შორის შეაგროვა სამოცი მანეთი და გადასცა ეკლესიის კომიტეტს, ამასთანავე გზავნი შემომწირველთა სიას: თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავმა—10 მან., ექიმმა ივ. სპირიდონის ძე ელიაშვილმა—5 მან., აზ. მირიან ივანეს ძე ლოლაძემ—5 მ., თამარ ბრაილოვსკისამ—2 მ., თ. დიმიტრი იაკობის ძე ერისთავმა—1 მ., თ. ვასილ სოლომონის ძე ერისთავმა—2 მან., აზნ. გიორგი ივანეს ძე ლოლაძემ—2 მან., მარიამ ლოლაძისამ—2 მან., აზნ. ალექსანდრე გიორგის ძე ჩიკოიძემ, მისმა მეუღლემ თიკომ და ქალმა გაიანემ—3 მან., ორმა უცნობმა—თითო მან., თ. გრიგოლ დიმიტრის ძე წერეთელმა—1 მან., აზნ. ზურაბ ჩუბინიშვილმა და მისმა მეუღლემ სოფიო სპირიდონის ასულმა—3 მან., [illegible]

მეჯვრისხევის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე.

## დ ე პ ე შ ა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სეკდემბერი.

**პეკინი**. თავადმა ცინმა შეატყობინა ელჩებს, რომ რუსეთისაგან წარდგენილი პირობანი მანჯურიიდამ ჯარის გაყვანისა მას მიაჩნია ძალიან ზომიერად.

**ათინა**. არჩევანების გამო აქ დემონსტრაცია მოხდა. თოთხმეტი კაცია დაჭრილი და მოკლული.

**რომი**. მეფე და დედოფალი 1 (14) ოქდომბერს პარიჟში მიდიან, სადაც 5 (18) ოკდომბრამდე დარჩებიან. მეფე-დედოფალს თან მისდევს გარეშე საქმეთა მინისტრი მორინი.

**პიატიგორსკი**. ლერმონტოვის გალერეიაში წყლების გამგე დირექტორმა ნადიმი გადიხადა.

**კლაგენფურტი**. წყალდიდობის გამო, რომელმაც დიდი უბედურობა დაატრიალა, რკინის გზის მიმოსვლა ტარვისპონტაფელში შესწყდა თოთხმეტ დღემდე.

3 სეკდემბერი.

**ორიოლი**. ხელმწიფე მემკვიდრემ სამეურნეო კომიტეტს გამოუგზავნა ორი ვერცხლის ვაზა ექსპონენტების მისაცემად.

**სოფია** პოლკოვნიკი ფიჩევი დაინიშნა დიპლომატიურ აგენტად სტამბოლში.—დამე ვიდაც უცნობთ, როცა ჟანდარმები გაიგულეს ვაგზლის ახლო, რამდენიმე თოფი წაიღეს. —ოპოზიციის დასნი შეერთდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის.—მინისტრებმა გადასწყვიტეს არჩევნების დროს იმგზავრონ, რათა შეერთებულის ოპოზიციის ძალა შეასუსტონ.

**პარიჟი**. აბისინიაში ეჩრად ნამყოფი ლაგარდი ინიშნება ელჩად ლისაბონში.

**სოფია**. ნაწილ-ნაწილად იწვევენ ჯარისკაცთ, რომ სამის კვირის განმავლობაში ხელახლად გაიწვრთნან.—სოფიისა, პლოვდივის და სლივნის სადივიზიო ოლქებში დიდი აღელვებაა იმის გამო, რომ ბულგარეთის საზღვარზე ოსმალთა ჯარი იკრიბება.

**ბელგრადი**. ზოგიერთა გაზეთებისაგან გავრცელებული ამბავი იმის შესახებ, ვითომ შაბათ ღამე უნდა დასცემიყვნენ ციხეს და დაპატიმრებული ოფიცრები განეთავისუფლებინათ, უსაფუძვლო გამოდგა.—სამხედრო სასამართლო მხოლოდ ამ დღეებში შეიკრიბება.

**სოფია**. მთავრობამ მოუწოდა სათადარიგო ჯარის ერთ ნაწილსა, რათა განაძლიეროს საზღვარზე სამხედრო ძალა და ხელი შეუშალოს ჯუფთა გადმოსვლასა.

—დიპლომატიის აგენტებს პეტერბურგსა, პარიჟსა და ვენაში პეტროვმა დეპეშით აცნობა, რომ ოსმალეთში თანდითან ძლიერდება შეიარაღება და მიაქცია ამ გარემოებაზე მათი ყურადღება. პეტროვი ამბობს, რომ რადგანაც ოსმალეთი აგრესიულს განზრახვებს არ ანებებს თავსა, ბულგარეთის მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს ღონისძიებანი, ამისთანა გარემოების წინააღმდეგ.

**პეტერბურგის ბირჟა** 2 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,55 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,40 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,47½ |

| | |
|---|---|
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅜ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 1864 | 443 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 338¼ წვ. გაყიდ |
| 5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 288 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9300 გაყ. |
| აქციები „ „ „ „ | — |
| „ კასპიის ამხანაგობისა | 3700 წვ. გაყ. |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 388 |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 189½ წვ. გაყ. |

## გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) სათოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) სათოსტო № $74_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) სათოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ველაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ი. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

## განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ხეხილის ნერგები**

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად **ფარსადან იაკ. აგსარქისოვის** მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—**სკრა კავ. რკ. გზის სადგური**. ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: **ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს**.

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—1)

**ყ ვ ე ლ ა**

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი. მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—9)

**კოკორი ანუ ანბანი**

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი. (6—6—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში**

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

იყიდება ყოველგვარი შეკერილი

**ევროპიული ტანისამოსები**

მაგალითად: პალტოები 10 მანეთიდან 35-მდე, მთელი კოსტიუმები 10 მანეთიდან 35-მდე., საწვიმარი მოსახურავები 70 მანეთიდან 30-მდე. შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპინკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული.

საგანგებოთ გამოვიწერე გამოცდილი გამომჭრელი ევროპიულ ტანისამოსისა და შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულის და სამხედრო ტანისამოსებისა, ვყიდი არშინობით სამზღვარ-გარეთულ და რუსულ მატერიებს.

ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა. (5—6—4)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

**ვეფხის ტყაოსანი**

სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად. (5—უ—2)

გამოვიდა და ისყიდება

**კბილები**

**და მათი მოვლა-შენახვა**

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

**ისყიდება**: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—6)

GRAND PRIX PARIS 1900

Т—во Высшей парфюмеріи А. Ралле и К°. „Цар. Верескъ“




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდობრინი“ მ. გ. ლებედევისა**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6—18)


**საეკკლესიო მუზეუმი**

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)


**საბუღალტერო კლასები ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა**

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიუროც არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—11)